გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 110

2024 წლის 12 ივლისი
ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2023 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2023 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2023 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის 2 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2023 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა არქიტექტურის განყოფილება განიხილავს მერიის საქმისწარმოების განყოფილებაში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებს და კორესპონდენციებს , დაკავშირებულს მშენებლობის ნებართვებთან, მიწის ნაკვეთების დაყოფა/გაერთიანებეთან, მრავალბინიანი კორპუსების საზღვრების დადგენასთან და სხა საკითხებთან დაკავშირებით. ქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილება გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს.

2023 წლის ივლისიდან 2024 წლის 25 ივნისამდე გაიცა 284 მშენებლობის ნებართვა, აქედან 18 გაცემულია მეოთხე კლასის მშენებლობებისთვის. 55-მესამე კლასის და 114-მეორე კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობებისათვის. 97 მარტივი შეტყობინებით შეთანხმებულია პირველი კლასის შენობა-ნაგებობისთვის 60 კმ.მ-მდე ფართის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია და 46 სარეკლამო აბრის შეთანხმების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი.

გარდა შენობა-ნაგებობის მშენებლობისა სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილება განიხილავს და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებით, როგორიცაა ელ. მომარაგების, გაზმომარაგების, ოპტიკურ ბოჭკოვანი საკაბელო სისტემის, სარწყავი სისტემის და წყალმომარაგების ხაზობრივი ნაგებობების. სულ ხაზობრივ ნაგებობებზე გაცემულია 545 შეთანხმების და ბრძანების აქტი, აქედან ელ. მომარაგების მიზნით შეთანხმებები გაცემულია 343 ფიზიკური და იურიდიული პირების უძრავ ქონებებზე, სატელეკომუნიკაციო ქსელის მოწყობასთან დაკავშირებით-52, ხოლო კერძო საკუთრებაში არსებული ობიექტების გაზმომარაგების მიზნით გაცემულია 135 შეთანხმება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის და რაიონის ტერიტორიაზე მიმდინარეობს არსებული ძველი III კატეგორიის გაზსადენების რეაბილიტაცია, როგორებიცაა სოფ. სვენეთიდან და ბერბუკიდან, გორში, სუხიშვილის ქუჩაზე გამავალი, ძველი ხიდიდან უფლისციხის ქუჩამდე, ცხინვალის გზატკეცილზე გამავალი, მეჯუდის პირიდან ცხინვალის ქუჩამდე, ჯორბენაძის ქუჩის, გვერდწითელის ქუჩაის, ნაჭარმაგევის გრს-დან სოფელ ქიწნისის შესასვლელამდე, სოფ. ტყვიავიდან ტირძნისი-დიცის მიმართულებით, და სხვა ტერიტორიები, რომელზეც გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაცემულია რეაბილიტაცია/მშენებლობის ნებართვის 15 ბრძანება.

მოგეხსენებათ, რომ სამშენებლო საქმიანობაში - შენობების, გზების და სხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობების მშენებლობისას ფართოთ გამოიყენება სასარგებლო წიაღისეულის-ქვიშა-ხრეშის მოპოვება, რომელთა მოპოვების საუკეთესო წყაროდ ითვლება მდინარეები. გარდა სამშენებლო საქმმიანობისა, მდინარის „გაჯანსაღების" მოტივით (წყალმოვარდნის შემდეგ, კალაპოტის წყალგამტარობის გასაზრდელად) გორის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარე მტკვრის, დიდი და პატარა ლიახვის კალაპოტში ზ/აღნიშნული წიაღის მოპოვებაზე გაცემულია 55 შეთანხმების აქტი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში, აკვაკულტურის ლიცენზიის მოპოვების მიზნით სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილებას მიმართა იმ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა განცხადებით, რომელთაც 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ჰქონდათ ნაწარმოები თევზის სამეურნეო აუზები. ამასთან დაკავშირებით აღნიშნულ პერიოდში გაიცა ლეგალიზების 28 ბრძანება, რამაც ხელი შეუწყო კანონისმიერ მფლობელობაში რეგისტრაციებს.

2023 წლის ივლისიდან 2024 წლის ივნისამდე 69 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ წარმოადგინა ტექ.დოკუმენტაცია მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით, რაზეც გაიცა შესაბამისი გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება.

68 საპროექტო ობიექტს, რომელთა მშენებლობაც ვერ განხორციელდა სანებართვო პირობებით განსაზღვრულ ვადაში გაუგრძელდათ მშენებლობის ვადა.

მიწის ნაკვეთების დაყოფა/გაერთიანებასთან დაკავშირებით გაცემულია 503 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი.

განყოფილება აქტიურად არის ჩართული ინფრასტრუქტურული პროექტების მიმოხილვა/განხორციელებაში.

სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად სახელმწიფო ხაზინაში მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის სახით შესულია 423 138ლარი.